ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №542722

ნომერი: AR1107403

თარიღი : 05.02.2013

გაცემის თარიღი : 12.02.2013

გაცნობის თარიღი : 12.02.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 78-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N 002/007) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 78 , მიმდებარედ (ნაკვეთი 02/010); ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 78-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N002/008) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "კოლეგიუმი" კოდი: 204909956

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული

განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ განცხადებაში ითხოვთ ორი სართულის დაშენებას (4 სართულის მაგივრად), არქიტექტურის სამსახური რჩება იგივე პოზიციაზე, რაც AR1103122 განცხადების პასუხად გეცნოთ, კერძოდ: „თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული საკადასტრო ერთეულები (საკადასტრო კოდი: #01.14.03.002.008, 01.14.03.002.012) წარმოადგენს ვიწრო (სიგანეში მაქს. 8მ) და ფართობით მცირე (330კბ.მ და 73კვ.მ) მიწის ნაკვეთებს, სადაც უკვე განთავსებულია ერთსართულიანი შენობა–ნაგებობები. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება არსებული სართულიანობის გაზრდა, რაც შესაბამისად, გამოიწვევს შენობა–ნაგებობის ფართობისა და ფუნქციების მატებას, მოცემული ტერიტორია ვერ იქნება უზრუნველყოფილი საჭირო ინფრასტრუქტურით (მაგ. საჭირო რაოდენობის ღია ავტოსადგომით); ამასთან, სამსახურს #01.14.03.002.008 საკადასტრო ერთეულისთვის გაცემული აქვს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები #427 2011.04.06წ. ავტოსადგომის მოსაწყობად, ხოლო #01.14.03.002.012 საკადასტრო ერთეულისთვის 27.03.2012წ. გაცემულია მშენებლობის ნებართვა (ბრძანება №91126) სავაჭრო ობიექტისთვის.
ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.“

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.